საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

KA030167825386614

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 251 15 05;
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

24 / სექტემბერი / 2014 წ.

№ 01/78262

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS)
დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 279
თარიღი: 26 09 2014 წ.

ბატონო სერგი,

მიმდინარე წლის 10 სექტემბრის თქვენი N589 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „ჰოსპიტალების ოპერირების საერთაშორისო საწარმოს“ შორის გაფორმებული, სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას პირობებით გამოცხადებულ საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2010 წლის 29 სექტემბრის ოქმის ტიპური ფორმა №16ა-ს (ოქმი) საფუძველზე, შპს „ჰოსპიტალების ოპერირების საერთაშორისო საწარმოს“ პირობადებულ საკუთრებაში გადაეცა შპს „ჯანმრთელობა 2010“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი. აღნიშნულ ქონებაში ირიცხებოდა ვანის საავადმყოფოს ქონებაც. შესაბამისად, მყიდველის ერთ-ერთ ვალდებულებად განისაზღვრა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 თვის ვადაში, ვანში 15-საწოლიანი საავადმყოფოს აშენება ან/და რეკონსტრუქცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება და საავადმყოფოს ფუნქციონირებისათვის საჭირო სალიცენზიო / სანებართვო პირობების დაკმაყოფილება.

მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარის 2013 წლის 22 აგვისტოს №1/1-720 ბრძანების საფუძველზე, ცალმხრივად იქნა მოშლილი ზემოაღნიშნული ოქმი (ხელშეკრულება). დღეისათვის, ვანის საავადმყოფო იმყოფება სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საზოგადოების - შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მართვაში.

რაც შეეხება, ზემოაღნიშნული ოქმის (ხელშეკრულების) მიწოდების საკითხს, აღნიშნულთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მიმართოს ხელშეკრულების მხარეებს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და შპს „ჰოსპიტალების ოპერირების საერთაშორისო საწარმო“).

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი,

სოფიო უმიკაშვილი

ღონისძიებათა დაგეგმვისა და
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამმართველოს უფროსი